MES 1 21 0000506949

01/06/2021

ბრძანება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების შედეგების ასახვისა და წინადადებების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტარაციული კოდექსის 51–ე მუხლის პირველი ნაწილის, 52–ე და 57–ე მუხლების, „მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანების მე–12 მუხლის 1-ლი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის მაძიებლობის მიმართულების მენეჯერის 2021 წლის 31 მაისის N504636 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების შედეგების ასახვისა და წინადადებების წარდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 14 ივნისიდან 2021 წლის 04 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს აღნიშნული ბრძანების საჯაროდ გამოცხადება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მ N64. 0131)

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
ბერიკა შუკაკიძე

Not signed